აბიტურიენტმა რეგისტრაციისას უნდა შემოიტანოს შემდეგი საბუთები:

1. შემოქმედებით ტურებზე რეგისტრაციის ფორმა (იხ. **ფორმა**);
   ფორმის შესავსებად ისარგებლეთ პროგრამების, სპეციალობების ნუსხით.
2. პირადობის მოწმობის/პასპორტის ასლი;
3. ერთი ფოტოსურათი ელექტრონული სახით (3X4, JPG).
4. გამოცდების საფასურის (50 ლარი) გადახდის დამადასტურებელი **საბანკო ქვითრის** ასლი
5. ბაკალავრის აკადემიური ხარისხის / უმაღლესი აკადემიური განათლების დამადასტურებელი დიპლომის ელ. ასლი (საბუთების შემოტანა შეუძლიათ მხოლოდ იმ ბაკალავრებს, ვისაც გავლილი აქვს სამუსიკო-საგანმანათლებლო პროგრამა). *დიპლომის ასლი არ მოეთხოვება იმ აპლიკანტებს, რომლებმაც სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა დაასრულეს 2019-2020 სასწ. წელს.*

შენიშვნა: დოკუმენტებში აღმოჩენილი ხარვეზების შემთხვევაში გეცნობებათ წერილობით, ხარვეზის გამოსასწორებლად გექნებათ 24 სთ..

რეგისტრაციისას გასათვალისწინებელი რჩევები !

- **დოკუმენტების გამოგზავნისას წერილში მითითებული უნდა იყოს აბიტურიენტის სახელი და გვარი, სპეციალობა და ინსტრუმენტი;**
- **დოკუმენტები უნდა გამოიგზავნოს დასკანირებული სახით;**
- **ყველა დოკუმენტი უნდა აიტვირთოს <u>ერთ</u> წერილში,**
- **თითოეული ფაილი დასათაურდეს ქვემოთ მოყვანილი პრინციპის შესაბამისად.**

ფაილის დასათაურების პრინციპი:

სახელი, გვარი, დოკუმენტის სახე (ფორმა / პირადობა / ფოტო / ქვითარი / დიპლომი)

<u>მაგალითად:</u>

სახელი, გვარი - ფორმა

სახელი, გვარი - პირადობა

სახელი, გვარი - ფოტო

სახელი, გვარი - ქვითარი

სახელი, გვარი - დიპლომი